ხელშეკრულება №16სშ
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)
(CPV –45350000; 71321000)

სსიპ-საქართველოს ეროვნული არქივი (მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას №1 ტელეფონი: 38-14-25, საბანკო რეკვიზიტები: ბანკის კოდი TRESGE22, სახელმწიფო ხაზინა, ანგ.№ GE24NB0330100200165022, სკ-211358957), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი **გენერალური დირექტორის თეონა იაშვილის** სახით და **შ.პ.ს. „სოკარ ჯორჯია გაზის"** აღმოსავლეთის რეგიონული ოფისი (მისამართი: ქ. ყვარელი, არმაშენებლის ქ. N 66 ; საბანკო რეკვიზიტები: სს " საქართველოს ბანკი " ბანკის კოდი: BAGAGE22, ანგარიშის ნომერი: GE51BG0000000233446203; ს/კ 202403121), შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად", წარმოდგენილი აღმოსავლეთის რეგიონალური ოფისის **დირექტორის მიხეილ სამხარაულის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3' პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში –„ხელშეკრულება")– შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
1.2„ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3„დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4„შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5„მიმწოდებელი" – პირი, რომელიც უწევს მომსახურებას შემსყიდველს ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6„მომსახურება" – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურება.
1.7„ინსპექტირება" – ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2.ხელშეკრულების საგანი

2.1. წაანმდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „მიმწოდებელი" შ.პ.ს. „სოკარ ჯორჯია გაზის" აღმოსავლეთის რეგიონული ოფისი იღებს ვალდებულებას შემსყიდველის სსიპ - საქართველოს ეროვნულ არქივის საკუთრებაში/მფლოელობაში არსებული ობიექტის (სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივის ახმეტის ადგილობრივი წარმომადგენლობის) (მისამართი: ქალაქი ახმეტა, ჩოლოყაშვილის ქუჩა N 50; ს/კ 50.04.42.017) გაზიფიცირება პროექტის შესაბამისად.
2.2. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: ობიექტის გაზიფიცირება
2.3. შესყიდვა: სახელმწიფო შესყიდვა
2.5. კლასიფიკატორის კოდი: **CPV –45350000; 71321000**

3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს - **1070.43 (ას სამოცდაათი ლარი და 43 თეთრი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით;**
პროექტისა და გამანაწილებელ ქსელზე მიერთება - 400.00 ლარი, შიდა ქსელის მოწყობა - 670.43 ლარი.
3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
3.3.წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევაშიც ფასის ცვლილება დასაშვებია არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 %.

4.მხარეთა ვალდებულებები

4.1მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს, სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივის ახმეტის ადგილობრივი წარმომადგენლობის (მისამართი: ახმეტა, ქ. ჩოლოყაშვილის ქ. N 50, ს/კ 50.04.42.017) ოფისის ფართის გაზიფიცირების სამუშაოების შესრულება, კერძოდ, წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული სამუშაოები განახორციელოს ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, ხელშეკრულების ძალაში შესვლისდან 40(ორმოცი) სამუშაო დღის ვადაში.
ბ)უზრუნველყოს სამუშაოების ჩატარება გაზმომარაგებაში არსებული უსაფრთხოების წესების დაცვით.
გ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;
დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.
4.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;
ბ) უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება;
გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. მომსახურების ხარისხი

მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობებს და ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და მაჩვენებლებს.

6.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც მომსახურების გაწევის დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.
6.2.ინსპექტირებას განახორციელებს საქართველოს ეროვნული არქივის სამეურნეო სამსახურის უფროსი, ზურაბ ენაგელი ან/ და მისი დროებით მოვალეობის შემსრულებელი.
6.3შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნი გაწეულ მომსახურებაში, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღეში გამოასწოროს წუნი.

7.მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად, კონტროლის განმახორციელებელი პირის მიერ შედგენილი დადებითი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.

8.ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;
ბ) ანგარიშსწორების ფორმა- უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.
გ) დაფინანსების წყარო -2021 წლის საკუთარი შემოსავლები.
8.2 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში – ლარში, მიმწოდებლის მიერ ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და შემხყიდველის მიერ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის დადასტურებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
8.3 შემსყიდველი უფლებამოსილია, ხოლო მიმწოდებელი თანახმაა ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გამოქვითოს ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან და გადარიცხოს მიმწოდებლის სახელით სახელმწიფო ხაზინის შესაბამის სახაზინო კოდზე.

9.ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
9.2იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების ან/და 6.3 პუნქტით განსაზღვრული ვადებისა და პირობების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო, შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.
10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 პუქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.
10.3იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
10.4პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.დავების გადაწყვეტა

12.1ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.
12.2თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს თბილისის საქალაქო სასამართლოს დადგენილი წესის შესაბამისად.

13.ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
13.2ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

15.ფორს-მაჟორი

15.1წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საკუთარი შემოსავლებით მიღებული ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. საერთო პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მოთხოვნის შესაბამისად.

17.მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი
მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას №1
ტელეფონი: 238-14-25
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის კოდი TRESGE22
სახელმწიფო ხაზინა; ანგ.NGE24NB0330100200165022
სკ - 211358957

მიმწოდებელი

შპს სოკარ ჯორჯია გაზის აღმოსავლეთის რეგიონული ოფისი
მისამართი: ქ.ყვარელი, აღმაშენებლის ქ. N 66

საბანკო რეკვიზიტები:სს "საქართველოს ბანკი"; ბანკის კოდი: BAGAGE22;
ანგ№ GE51BG0000000233416203;
სკ -202403121

llc Socar Georgia Gas

Digitally signed by llc Socar Georgia Gas
Date: 2021.02.01 17:00:04 +04'00'